# დიდება კომუნისტური შრომის დამკვრელებს!

გუშინ ჩვენი სამშობლოს მილიონობით ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა იზეიმა ფიზკულტურელის დღე. ახლა კი მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა აღნიშნავს მშენებელთა დღეს.

ეს ორი დღესასწაული შემთხვევით როდი დგას ასე ახლოს ერთმანეთთან: ეს მოხდა 1956 წელს, აგვისტოს დასაწყისს: ათასობით მშრომელი შეიკრიბა მაშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ახალგახსნილ ცენტრალურ სტადიონზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ვრცელი სიტყვით მიმართა ამ უდიდესი კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლებს და მიულოცა მათ დიდი შრომითი გამარჯვება. მომდევნო დღეებში კი ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე 10 ათასამდე სპორტსმენი გამოვიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის გახსნის სადღესასწაულო აღლუმზე...

ასე შეეწყვილა ერთმანეთს ფიზკულტურელის საკავშირო დღე და მშენებელთა დღე.

გუშინ ჩვენმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა სამშობლოს წარმოუდგინეს ის სწორუპოვარი მიღწევები, რომლებითაც ისინი შეხვდნენ თავიანთ ზეიმს. დღეს კი ასეთივე საამაყო მაჩვენებლებს გვიპატაკებენ ჩვენი სახელოვანი მშენებლები.

დიდია საბჭოთა მშენებელთა გამარჯვებანი და ამ გამარჯვებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებსაც. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მშენებლობებზე, საელსადგურო კაშხალებზე, ფაბრიკა-ქარხნების ახალი კორპუსებისა თუ საცხოვრებელი მასივების ხარაჩოებზე ილვწიან მოწინავე ადამიანები, რომლებიც შრომისადმი ახლებური, კომუნისტური დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშებს გვიჩვენებენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები — მშენებელი ვ. ჭელიძე, მებეტონე ჯ. იამანიძე, ზეინკალი ს. თეთრაშვილი, კალატოზი გ. მიკირტუმოვი, მებულდოზერე ვ. ბერეკაშვილი და მრავალი სხვა.

მოწინავე ქართველ მშენებელთა შორის ბევრია ფიზკულტურელი და სპორტსმენი. ეს გასაგებიცაა: ჩვენი მოღვაწეობის ეს სფერო კარგა ხანია დამკვიდრდა საბჭოთა მშრომელების ყოველდღიურ ყოფაში, როგორც მათი ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისნაყოფიერების ზრდის სტიმული. სწორედ ამიტომაა, რომ სპორტის ოსტატობის [illegible] მოჭიდავე, მამწე ჯ. სიფრაშვილი, [illegible] სანი ძალოსანი, დურგალი ს. გოგსაძე, ფეხბურთელი-მშენებელი ვ. კილაძე და სხვები თითით საჩვენებლები არიან არა მარტო სპორტულ სარბიელებზე, არამედ შრომითს ვახტებზეც.

დღეს მშენებლის დღეა!

დიდება კომუნისტური შრომის დამკვრელებს — საბჭოთა მშენებლებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 156 (2519) ◉ კვირა, 9 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **კომპლექსურ შეჯიბრებებში** — ვ. ქურულს (თბილისი); **ჭადრაკში** — გ. ეგიაშვილს (თბილისი); **ტყვიით სროლაში** — ი. ერშოვს, ა. კაციანს, ვ. ტიმოფეევას (სამივენი — თბილისიდან); **მძლეოსნობაში** — ვ. ბაზელიუკს (თბილისი), **ნიჩბოსნობაში** — მ. მნათობიშვილს (თბილისი); **ცურვაში** — მ. ტატიშვილს (თბილისი); **კალათბურთში** — თ. შველიძეს (წულუკიძე).

* * *

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ბიუროს დადგენილებით, მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის კარგი ორგანიზაციისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ **თბილისის „დინამოს", „განთიადისა" და ფიზკულტურელის პარკის საწყლოსნო აუზები.**

## უკანასკნელი საათი...

◆ **მოსკოვი,** 8 აგვისტო. დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა სროლაში. ერთდროულად ეს ასპარეზობა ტოკიოს ოლიმპიადის საგზურებისთვის ბრძოლის ბოლო ეტაპია. ხვალ, შეჯიბრების პირველ დღეს, სტარტზე გამოვლენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მსროლელები — ლენინგრადელები ვ. შამბურკინი და ა. ზაბელინი, მოსკოველები ვ. სტოლიპინი და ე. რასკაზოვი, თბილისელი შ. ქველიაშვილი, კიეველი ა. უდაჩინი და სხვ. ერთდროულად იწყება მესტენდურეთა საკავშირო ასპარეზობაც.

◆ **კიევი,** 8 აგვისტო. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში კონკურსის გარეშე გამოვიდა ვ. ბრუმელი, რომელიც გადახტა 224 სმ (მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგია მსოფლიოში). რ. შავლაყაძემ აჩვენა 206 სმ.

◆ **ლეიტკირჰი** (გფრ), 8 აგვისტო. საპარაშუტო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ამ დღეებში ყველაზე საინტერესო ნახტომებს აკეთებენ. 2.000 მეტრის სიმაღლიდან ისინი მიწიდან „ნაბრძანები" ნიშნების მიხედვით პარაშუტის გახსნამდე ასრულებენ აკრობატულ ფიგურებს, — „რვიანებსა" და მალაყებს. აქ საქმე მარტო ფიგურათა შესრულების სიზუსტეში როდია, — საჭიროა სისწრაფეც. ყოველივე ეს ქალთა შორის საუცხოოდ განახორციელა ქ. ტეილორმა (აშშ), რომელმაც მოაგროვა 492 ქულა და გაიმარჯვა. ჩემპიონს 1 ქულით ჩამორჩა 25 წლის პარაშუტისტი ქ. კიროვიდან — ტ. ვოინოვა.

◆ **ბათუმი,** 8 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენი კორ.). „სპარტაკის" საწყლოსნო აუზში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობა პროფკავშირთა ჭაბუკი წყალბურთელების გუნდებს შორის. ასპარეზობა მიეძღვნა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. პირველი დღის შეჯიბრების შედეგები ასეთია: „ნეფტიანიკი" (ბაქო) — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) 2:2, „ვოდნიკი" (ლენინგრადი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) 11:3, „ტორპედო" (მოსკოვი) — „ტრუდი" (ლენინგრადი) 2:2. ასპარეზობა 16 აგვისტომდე გასტანს.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა" კლასი

**I ჯგუფი**

**მოსკოვი, 8 აგვისტო.** დღეს აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" (მოსკოვი) და დონეცკის „შახტიორი".

შეხვედრის ანგარიშია 0:0.

### II ჯგუფი, II ქვეჯგუფი

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის, რომლებიც ასე დამთავრდა: „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი" (ერევანი) 0:0, „კარპატი" (ლვოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:0, „სპარტაკი" (გომელი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:0, „ალგა" (ფრუნზე) — „დინამო" (ტალინი) 1:1.



დღითიდღე მშვენიერდება, კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი — თბილისი. ხარაჩოები ეხსნება და მწყობრში დგება ახალი საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა ობიექტები. ეს ჩვენი სახელოვანი მშენებლების ხელითაა გაკეთებული.

სურათზე თქვენ ხედავთ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე აღმართულ საცხოვრებელ სახლებს. ბევრში უკვე ბინადრობენ თბილისელები, მარცხნივ, ბოლო სახლში კი სულ მალე ახალსახლობას იზეიმებს ბევრი ოჯახი.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

## უძლევნიან ზეიმს

„მთავართბილმშენის" გაერთიანებული ფიზკულტურული საბჭოს შემადგენლობაში შემავალმა № 3 საწარმოო კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მშენებლის დღეს მიუძღვნა შესანიშნავი ტურისტული ღონისძიება. კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა გუშინ აიღეს ლაშქრობის სტარტი, რომლის საბოლოო პუნქტია საქართველოს უძველესი ისტორიული ხუროთმოძღვრული ძეგლი — ვარძია.

აქ, ამ ქალაქ-სიმაგრის მახლობლად, რომელიც შორეული წარსულის მშენებელ-ოსტატთა საოცარ ნახელავს წარმოადგენს და რომლის მიდამოებშიც ძველთაგანვე არა ერთი დიდებული ასპარეზობა გამართულა, ჩვენი დღევანდელი მშენებლებიც დასცემენ კარვებს და თავიანთ ზეიმს დიდი სპორტული შეჯიბრებით აღნიშნავენ. კომბინატის ფიზკულტურელები გამოვლენ მასობრივი კროსის 1.000-მეტრიან დისტანციაზე. აქვე გათამაშდება საამქროთაშორისო პირველობა ფრენბურთში, მოჭადრაკეთა ასპარეზობა...

მშენებლის დღესთან დაკავშირებითვე კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ ექსპლოატაციაში შედის ამავე გაერთიანებული ფიზკულტურული საბჭოს კომპლექსური ბაზა წერეთლის პროსპექტზე. ეს ბაზა შედგება ფრენბურთის ორი და კალათბურთის მოედნებისგან, რომლებსაც შეემატათ ახალი სპორტული დარბაზიც, თბილისელ მშენებელთა განკარგულებაშია აგრეთვე მეორე სპორტული ბაზა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

ზ. ბექანიშვილი

## 9 აგვისტო — მშენებლის საკავშირო დღე

# შრომაც უყვართ და სპორტიც

ნახეთ თბილისის რომელი უბანიც გნებავთ, განსაკუთრებით ახალი საცხოვრებელი მასივები — ყველგან ცადაზიდული ამწეები, სამშენებლო მასალა, ახლად დამთავრებული, თუ აშენების სტადიაში მყოფი შენობები. ყველგან ენერგიული საქმიანობაა გაჩაღებული... შრომის ტემპმა განსაკუთრებით იმატა მშენებლის საკავშირო დღის მოახლოებასთან დაკავშირებით.

მშენებლები, რომელთა შორის ბევრია სპორტის მოყვარული, თავდაუზოგავად იბრძვიან მათ წინაშე დასახული ამოცანის გადასაწყვეტად.

ვისაუბროთ ერთი ობიექტის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის 195-ბინიან საცხოვრებელი სახლის მშენებლებზე.

დედაქალაქის ამ ულამაზეს მაგისტრალზე — ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე — გამვლელს არ შეიძლება მხედველობიდან გამორჩეს ეს ობიექტი — 8-სართულიანი სახლის პირველი კორპუსის კონტურები, მეორე და მესამე კორპუსები... სულ მალე ექსპლოატაციაში შევა პირველი კორპუსი და როცა იგი ხარაჩოებისგან გათავისუფლდება, პროსპექტს კიდევ ერთი ლამაზი ნაგებობა დაამშვენებს.

ბევრია აქ სპორტის მოყვარული. მათ შრომით საქმიანობაზე სამუშაოთა მწარმოებლები ო. მეტრეველი და კ. ჩიქობავა გვესაუბრნენ.

— ფეხბურთის მსაჯი, მებეტონე ო. ლაზოაშვილი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას. მას არც ფილების ჭაბუკი ხელოსანი ე. გეგელაშვილი და კალათბურთსა და ფრენბურთზე თავდავიწყებით შეყვარებული დურგალი ვ. იაცენკო ჩამორჩებიან.

ამწის მემანქანე, ზუგდიდელი გ. ნადაშვილი — ცხენოსნობის ტრფიალია და თბილისის იპოდრომის ხშირი სტუმარი.

აქ საწარმოო პრაქტიკაზე მყოფთა შორისაც არიან სპორტის მოყვარულნი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ზ. აბაშიძე, ტ. დოლიძე, კ. კვირიკაშვილი, პოლიტექნიკური ტექნიკუმის აღზრდილი, მესამეთანრიგოსანი მსროლელი ვ. ნაცვლიშვილი, რომელიც ახლა ბრიგადას ხელმძღვანელობს და მისი მეგობარი, მშენებელ-მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ორგანიზატორი რ. გოგიბერიძე.

მობრძანდით შესვენების საათებში, ნახეთ თუ როგორ ვიყენებთ თავისუფალ დროს ფიზკულტურასა და სპორტში წრთობისთვის, — დაამთავრეს მათ.

აქაური მშრომელები ღირსეულად შეხვდნენ მშენებლის საკავშირო დღეს, ვალდებულება იკისრეს შემდგომშიც მოიპოვონ შრომითი წარმატებანი და არ დაუშვან წუნი.

დ. კობახიძე

# ტრადიციის შენარჩუნებისთვის

## რა აფერხებს სასტენდო სროლის განვითარებას საქართველოში?

ეს ამბავი შორეულ წარსულს არ ეკუთვნის, მაგრამ მაინც ისტორიის საკუთრება გახდა. რამდენიმე წლის უკან საქართველოს სასტენდო სროლის ოსტატებს წამყვანი პოზიციები ეკავათ ჩვენს ქვეყანაში და ზოგიერთი მათგანი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში საზღვარგარეთის სასროლეთებზეც ცდიდა ძალებს სამატჩო შეხვედრებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. ზ. მაჩხანელი, ბ. ანტონოვი, ვ. ჯაბახიძე, დ. ცაგარეიშვილი, გ. ავალოვი, პ. სარქისოვი სხვადასხვა დროს იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები, პრიზიორები და რეკორდსმენები.

იყო დრო, როცა საქართველოს გუნდები ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში ტოლს არ უდებდნენ აღიარებულ ფავორიტებს — მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და სხვა გუნდებს, რეგულარულად ისაკუთრებდნენ საპრიზო ადგილებს. მაგრამ ეს იყო ადრე, 6-7 წლის უკან, ახლა კი...

ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ძალაუნებურად, სპორტსმენთა სურვილის გარეშე, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჩვენმა წამყვანმა მესტენდურეებმა თანდათან დაკარგეს მოწინავე პოზიციები. მათ ჯერ საკავშირო ნაკრებში დათმეს პოზიციები. მერე ქვეყნის ჩემპიონატებზე გამოეთხოვენ საპრიზო ადგილებს და სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში საბოლოოდ VIII ადგილით დაკმაყოფილდნენ. ეს ადგილიც კომპლექსში მოპოვებულ იქნა ადგილიდან მსროლელთა წყალობით (მათ IV ადგილი დაიკავეს), რადგან მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდური მაჩვენებელი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა (XII ადგილი). მსგავსი რამ არ ახსოვთ ამ სახეობის წარმომადგენლებს ჩვენში.

ეს იყო არა შემთხვევითი, არამედ სრულიად კანონზომიერი შედეგი. არა იმიტომ, რომ ჟამთა სვლამ სასროლეთს ჩამოაცილა საქართველოს ენერგიული, მონდომებული, გამარჯვების წყურვილით აღსავსე სპორტსმენები, არამედ...

თუმცა მიზეზების ერთი წინადადებით გადმოცემა შეუძლებელია.

მივყვეთ მათ ცალცალკე. შეძლებისდაგვარად ფარდა ავხადოთ რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარების „მუხრუჭებს" და ნუ მოვერიდებით, ვამხილოთ დამნაშავენი.

მართალია, ჩვენი ბევრი ოსტატი უკვე გამოეთხოვა საკმაოდ ხანგრძლივ სპორტულ სიჭაბუკეს (ამ მხრივ სასტენდო სროლა შეიძლება შევადაროთ ჭადრაკს: ხანშიშესულებს აქაც შეუძლიათ იყვნენ მოქმედნი და ზოგჯერ—უძლიერესნიც), მაგრამ ძველი თაობიდან შემორჩენილებს (მაჩხანელი, ანტონოვი) შემდეგში შეემატნენ არანაკლებ პერსპექტიული, მონდომებული ახალგაზრდები — ტ. ჟღენტი, რ. აჟიბა, კ. დარასელია, ვ. კონდრაცკი, ე. ძიძიგური, ლ. სიმონიანი და სხვ. მათ ღირსეული ესტაფეტა მიიღეს უფროსი თაობისგან და სურდათ ასევე წარმატებით განეგრძოთ გზა. ისინი თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ, იწრთობოდნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, „მარტო წვრთნა რას უზამს", თუ არ იქნება სათანადო პირობები.

ისე, როგორც სპორტის სხვა სახეობებმა, სასტენდო სროლამაც დღევანდელ ეტაპზე არნახული აღმავლობა განიცადა. ყველგან საგრძნობლად გაუმჯობესდა სტენდები, თოფების, საწვავის, საცობების, საფანტის, მასრების ხარისხი, გაიზარდა ამ სახეობის მესვეურთა დაინტერესება. ისინი რაც შეიძლება უკეთეს პირობებს უქმნიან სპორტსმენებს. ჩვენთან კი ამ სიკეთეს მოკლებული არიან ისინი, ვისგანაც საკავშირო სარბიელზე რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვას ვითხოვთ.

საქართველოს მდიდარი ბუნებრივი პირობები ნადირობის ბევრი მიმდევრის აღზრდას უწყობს ხელს. მესტენდურენიც ხომ ნადირობის მოტრფიალენი არიან და სასტენდო სროლის განვითარებაც სწორედ „მონკავშირის" ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ საქმიდან განზე იდგნენ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები. სამწუხაროდ, მათი („დინამო", „შრომითი რეზერვები", „ბურევესტნიკი") უმეტესობა სასტენდო სროლის განვითარებისთვის არაფერს აკეთებს. გამონაკლისს შეადგენს „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" საბჭოები და ისინიც თითოოროლა ჯგუფის არსებობით, ღონისძიებათა იშვიათად ჩატარებით კმაყოფილდებიან.

სპორტში წარმატების მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ტექნიკური ბაზა. ბაზებით კი ჩვენი მესტენდურენი განებივრებული არ არიან. სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი, მახარაძე, ზუგდიდი, წალენჯიხა — აი, სულ ის ქალაქები, სადაც არსებობს მეტნაკლებად კეთილმოწყობილი სტენდები. ისიც — დასავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთში კი... გურჯაანში, თელავში, ლაგოდეხში, გორსა და მცხეთაშიც საკმარისზე მეტია სასტენდო სროლის მოყვარული. კერძოდ, ლაგოდეხელი პირველთანრიგოსნები ერთხანს თბილისში დადიოდნენ სავარჯიშოდ. პერსპექტიულნი არიან თელაველი ძმები შოშიაშვილები, სტენდი კი არსადაა. გურჯაანში იგი მხოლოდ ახლა შენდება. თელავშიც წამოიწყეს შარშანწინ. აღმასკომმა სათანადო ნაკვეთიც გამოყო, მაგრამ ადგილობრივ მონადირეთა საზოგადოებას იმდენი მონდომება არ აღმოაჩნდა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა.

გაკვირვებას იწვევს მცხეთელების პოზიციები სასტენდო სროლის მიმართ. აქ ჰქონდათ მრგვალი სტენდი, იყვნენ შესანიშნავი მსროლელებიც. შემდეგ ამ სპორტულ ბაზაზე სასკოლო შენობა ააგეს, სამაგიეროდ სტენდის მოწყობისთვის კი თავი აღარავის შეუწუხებია. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას გორის მესვეურთა ინერტულობა. არაერთგზის მითითებისა თუ თხოვნის მიუხედავად, აქ ჯიუტად არ სურთ ბაზის მოწყობა და სათანადო მუშაობის გაშლა.

რაც შეეხება მეორე მხარეს — იარაღსა და ტყვია-წამალს, ამ მხრივ ყველა ერთ ტაფაში იწვის. ხანგრძლივი ხმარების გამო დაზიანდა და კარგა ხანია შეცვლას საჭიროებს თოფები. ისეთ ცნობილ ოსტატებსაც კი, როგორიც არიან მაჩხანელი, საგანელიძე და სხვები, წლების განმავლობაში ცეცხლის ხაზზე გამოსვლა უხდებათ ვადაგასული, ყოვლად უვარგისი თოფებით. მეტიც, ხალხთა III სპარტაკიადაზე ჩასულ საქართველოს კოლექტივს არასაკმაო რაოდენობით ჰქონდა იარაღი და იყო შემთხვევა, როცა ორი თანაგუნდელი (კერძოდ, ბ. სეგალევიჩი და რ. აჟიბა) მორიგეობით ერთი თოფიდან ესროდნენ სამიზნეს, რაც წესით აკრძალულია. მსაჯთა კოლეგიას ეს ამბავი რომ შეემჩნია, მონაწილეებს შეჯიბრებიდან მოხსნა ემუქრებოდათ. რესპუბლიკაში ნაკლები რაოდენობით შემოდის ხარისხოვანი საწვავი, ხოლო № 7 საფანტის (ადგილიდან მსროლელებისთვის) ნაცვლად შემოაქვთ № 6.

ერთი სავალალო ფაქტიც: სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში რესპუბლიკას უნდა მიეღო 56.000 ხარისხოვანი ვაზნა. მომმარაგებელი ორგანიზაციების მცდელობის შედეგად ეს ვაზნები მიღებულ იქნა მხოლოდ... სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ!

მოსალოდნელი იყო, რომ სპარტაკიადის შედეგებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ „მონკავშირის", მონადირეთა საზოგადოებებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელი მუშაკები, გარდაქმნიდნენ მუშაობას, იზრუნებდნენ ხარვეზების დასაძლევად. სინამდვილეში კი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა არავის მოგონებია. უფრო მეტიც, თუ მანამდე აფხაზეთში, აჭარაში, მახარაძესა და ქუთაისში მაინც ტარდებოდა ინტენსიური ვარჯიში, წელს აქაც ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვეს.

ახლახან თბილისში გამართული რესპუბლიკური ჩემპიონატის წინ აფხაზეთის მსროლელებს მხოლოდ 3 ვარჯიში ჩაუტარებიათ (?). როგორც გამოირკვა, ადგილობრივ სპორტკავშირსა და მონადირეთა საზოგადოებას შორის თავი იჩინა არაკოლეგიალობამ, შეუთანხმებლობამ, რაც კინკლაობაში გადაიზარდა და აი, შედეგიც: გასული წლის თასის მფლობელი — აფხაზეთის გუნდი — წელს სასტიკად დამარცხდა. ქუთაისელ სპორტსმენებს 6 ვარჯიში ჰქონდათ, მახარაძეში კი, სადაც 48 სპორტსმენის განკარგულებაში მხოლოდ 4 თოფია, წლის განმავლობაში წვრთნა არ გამართულა. მონადირეთა საზოგადოების (თავმჯდომარე ვ. ჯინჭარაძე) და სპორტკავშირის (თავმჯდომარე ო. კიშინსკი) მესვეურებმა არ ისურვეს ადგილიდან მსროლელთა შეჯიბრებაზე მოვლინება. ხანგრძლივად, უქმად ცდება ბათუმის კარგი სტენდიც. 3 თოფი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სამიზნეები კი დეფიციტურია.

ყოველივე ამის გამო რესპუბლიკურ ჩემპიონატზე მონაწილე 29 ოსტატიდან მხოლოდ ოთხმა აჩვენა ოსტატის შედეგი, ბევრი პირველ თანრიგსაც ვერ შეწვდა, რის გამო გუნდებმა ჩათვლა ვერ მიიღეს.

სადავო არაა ის ჭეშმარიტება, რომ სპორტსმენი ყალიბდება რეგულარულ წვრთნასა და შეჯიბრებებში. ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს გზებიც შეკრულია. პირველის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება შეჯიბრებებს, მათი რიცხვი მინიმუმამდეა დასული. ყოველწლიურად იმართება მხოლოდ 2-3 შეჯიბრება (უძლიერესთა ტურნირი, ჩემპიონატი და კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება) და მაშინაც ხარჯების ეკონომიის მიზნით, უკვე წინასწარ, ხშირად დებულებითაც ლიმიტირებულია მონაწილეთა რაოდენობა. ასე იყო უკანასკნელ ჩემპიონატზეც. იშვიათად, ან თითქმის არ იმართება სამატჩო და ამხანაგური შეხვედრები ცალკეული ქალაქებისა და სპორტსაზოგადოებათა გუნდებს შორის.

ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ სახეობას ჭაბუკთა და ქალთა შორის. აი, შედეგიც. ამ დღეებში ჩვენმა ჭაბუკებმა ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავეს საკავშირო ჩემპიონატში.

სასტენდო სროლის განვითარებაში ხელისშემშლელ პირობებზე თავიანთი შეხედულებანი გაგვიზიარეს მახარაძელმა სპორტის ოსტატმა ბ. მეგრელაძემ, ბათუმელმა ზ. კვაჭაძემ, ქუთაისის „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. ნაჭყებიამ, თბილისელებმა — საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ლ. ციციშვილმა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვ. ჯაბახიძემ და ოსტატმა ზ. მაჩხანელმა. ისინი გულისტკივილით აღნიშნავდნენ იმასაც, რომ შეჯიბრებებს რატომღაც კატეგორიულად არ ესწრებიან რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, ადგილებზე არ სწავლობენ შექმნილ ვითარებას.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებაში, რომელიც საქართველოში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზებს სახავს, ნათქვამია „... დაევალოს საქართველოს „მონკავშირის" პრეზიდიუმს სერიოზული ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარებას, ხელი შეუწყოს 1964-65 წლებში ქალაქებსა და რაიონებში (ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, გორი, მახარაძე, ჭიათურა, ცხინვალი, თელავი, გურჯაანი, ხაშური, ზესტაფონი, ზუგდიდი, მაიაკოვსკი) სპორტსმენთა აღზრდას, უზრუნველყოს ისინი საწვრთნელი ადგილებით, იარაღებითა და ტყვია-წამლით".

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამ საქმიდან განზე გადგნენ სპორტსაზოგადოებები. მოვიგონოთ ქართული ანდაზა: „ლიტრავ, შენ გეუბნებიან, კოკავ, შენ გაიგონეო!".

მოდით, ყველამ ვიზრუნოთ! შევუქმნათ მესტენდურეებს სათანადო პირობები, გზა მივცეთ მათ მონდომებას და სწრაფვას — კვლავ დაიბრუნონ მოწინავე პოზიციები საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე.

**ო. გელაშვილი**

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი სასტენდო სროლაში. წინა პლანზეა სპორტის ოსტატი ბ. ანტონოვი.

ფოტო ავტორისა.

---

### სამტრედია

აქაური სპორტკავშირის ინიციატივით მოეწყო ქუჩის გუნდების პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 12 გუნდი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გათამაშება მიმდინარეობდა წრიული სისტემით. ტურნირში გაიმარჯვა სტურუას ქუჩის გუნდმა „სინათლემ" (მწვრთნელი ჯ. კვანტალიანი). მეორე ადგილზეა „ტორპედო" (თბილისის ქუჩა, მწვრთნელი გ. ქუთათელაძე), მესამეზე — „ისარი" (კეცხოველის ქუჩა, მწვრთნელი ბ. ყურურაშვილი).

**ნ. მანჯგალაძე**

---

# ჩუმლაყელებთან

მთელ სოფელს მოეყარა თავი მინდორზე, თვალს ადევნებდნენ ფეხბურთელთა შეხვედრას.

— ვინ თამაშობს? — ვკითხეთ ახალგაზრდას, რომელსაც კმაყოფილებით გაბადროდა სახე.

— ჭანდრელები გვეჯიბრებიან ჩუმლაყელებს, რაიონის პირველობაზე ვიბრძვით.

— რა ანგარიშია?

— ოთხით ორია ჩვენს სასარგებლოდ.

მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. ზოგი მართლაც მოხდენილად თამაშობდა. გამოირჩეოდნენ ი. ორთოიძე, ა. ტურაშვილი, ვ. ორთოიძე...

გაისმა საფინალო სასტვენის ხმა. გულშემატკივრები დაიშალნენ. საკოლმეურნეო ფიზკულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, პირველთანრიგოსან ანზორ ყოჩაშვილს გავესაუბრეთ...

ორ ათეულ წელზე მეტია არსებობს ჩუმლაყის საკოლმეურნეო ფიზკულტურული ორგანიზაცია. ამჟამად იგი 550 ფიზკულტურელს აერთიანებს. მათ შორის 5 პირველთანრიგოსანია, — 10 მეორეთანრიგოსანი, 15 კაცს მესამე თანრიგი აქვს. შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ქართული ჭიდაობის, ტყვიით სროლისა და ჭადრაკის სექციები.

კოლმეურნე სპორტსმენები ყოველ საღამოს იკრიბებიან, ვარჯიშობენ, ასპარეზობენ. კარგი ტრადიციები აქვთ აქაურ ფეხბურთელებს. მათი გუნდი რაიონის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია. წელსაც კარგად მოემზადა რაიონის პირველობისთვის. ეს დაადასტურა საკონტროლო მატჩებმა, რომლებიც გაიმართა ველისციხის „კახეთთან", კარდანახის გუნდთან, ჭანდრელ ფეხბურთელებთან. ქართული ჭიდაობის სექციაში, რომელსაც ნ. ნაცვლიშვილი და გ. გველუკაშვილი ხელმძღვანელობენ, 45 სპორტსმენია გაერთიანებული. ჩუმლაყის კულტურის სახლში ხშირად ნახავთ მასპინძლებთან შესარკინებლად ჩამოსულ ახმეტელ, ლაგოდეხელ, ყვარლელ თუ თელაველ მოჭიდავეებს.

კარგად მუშაობენ ჩუმლაყელები, მაგრამ სპორტული მოედნის კეთილმოწყობა დღემდე ვერ მოახერხეს. ეს არ ეპატიებათ აქაურ სპორტსმენებს.

**ო. გოჩელაშვილი**

სოფელი ჩუმლაყი,
გურჯაანის რაიონი.

---

# პოლონეთის კონკურსის ლაურეატი

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეტიუდისტმა მიიღო მონაწილეობა პოლონურ საჭადრაკო ჟურნალ „შახის" საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც გამარჯვებულთათვის 6 პრიზი იყო დაწესებული. კონკურსში IV—V პრიზები გაიყვეს პოლონელი ა. ტჟეშოვსკისა და თბილისელი ვ. ნეიძის ნაწარმოებებმა.

აი, ახალგაზრდა ქართველი ეტიუდისტის ნაწარმოები, რომელიც გვხიბლავს დინამიური თამაშით.



თეთრები იწყებენ და ყაიმს აღწევენ.

1. ეg3+მფh4 2. ე:e3 კ:f2 3. ეf3 კb6! (თუ 3... კg3, მაშინ 4. მფg2 კe5 5. ეf5 და კუზე მუდმივი დაცემით. კუს არ შეუძლია დაუცველი დატოვოს f4 უჯრა ე:f4+ და ე:a4 გამო). 4. ეf4+ მფg3! 5. eb4! (და არა 5. ე:a4 a5 ეტლი იკარგება). 5... კb5 6. a4 ყაიმია, რადგან ერთ-ერთი კუ იკარგება.

---

### წაგება საითნოტში

**მინსკი**, 8 აგვისტო (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის V ტურში ნონა გაფრინდაშვილი შეხვდა მინსკელ ოსტატ შაგალოვიჩს. მსოფლიო ჩემპიონმა ახალინდური დაცვა გაითამაშა, მაგრამ უპირატესობა ვერ მიიღო. პირიქით, თანდათან უარესი მდგომარეობა შეექმნა და თვითეულ სვლაზე ბევრი ფიქრი უხდებოდა. მალე იგი მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდა და უკვე 33-ე სვლაზე საათზე ალამი ჩამოუვარდა. დამარცხდა გურგენიძეც. მან წააგო დიდოსტატ სუეტინთან.

პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ბირბრაგერმა (ზახარიანთან) და ვოორემაამ (ზილბერთან). ბოიარინოვმა მოუგო ნოსკოვს. ყაიმით დამთავრდა მიკენას — ეტრუკის შეხვედრა. სხვა პარტიები გადაიდო.

V ტურის შემდეგ დიდოსტატ ა. სუეტინს 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს; ნ. გაფრინდაშვილს, ბ. გურგენიძეს და ნ. ვალიევს — 2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს.

**მ. შიშოვი,**
სპორტის ოსტატი.

---

# პირველი ლიდერები

**კიშინიოვი**, 8 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში ბრძოლამ სტარტზევე მძაფრი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით კარგად თამაშობენ ოსტატები. III ტურის შემდეგ რიგელ კლოვანსა და ბაქოელ ჰალილბეილის 2,5-2,5 ქულა აქვთ, ლუტიკოვსა და კუდრიაშოვს — 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია. საერთაშორისო ოსტატმა ბაგიროვმა დააგვიანა ტურნირზე (იგი სტუდენტ-მოჭადრაკეებს მწვრთნელად ახლდა კრაკოვში). მან მხოლოდ ორი პარტია ითამაშა და ორივე გადადო.

კარგად ითამაშა II ტურში ახალგაზრდა ბოკუჩავამ ოსტატ სარდაროვთან, რომელსაც პირველი დამარცხება აგემა. III ტურში მან ყაიმით დაასრულა შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ გიპსლისთან.

ლიდერებს კვალში მიჰყვება კოკიანი. მას 2 ქულა აქვს. III ტურში ნიკიტინთან შეხვედრა კოკიანმა ყაიმით დაამთავრა.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო თამაშები. დამთავრდა საქართველოს სტუდენტთა ტრიუმფალური წარმატებით! ჰუმანიტარულ და ტექნიკურ სასწავლებელთა შორის პირველი ორი საპრიზო ადგილი შესაბამისად დაისაკუთრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა თანაინსტიტუტელებთან მწვავე ბრძოლაში საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავეს. ეს შედეგები უდავოდ დიდი და ბრწყინვალე გამარჯვებაა!

# სტუდენტთა თამაშები ბალტიისპირეთში






















აქ მოთავსებული სურათები ასახავენ ჩვენების „ყოფა-ცხოვრებას" სტუდენტთა თამაშებზე.

პირველი სურათი ასახავს ტალინის სპორტულ დარბაზს, სადაც ქართველი მოჭიდავენი უმეტესად გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ადიოდნენ. თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში თექვსმეტიდან 8 ჩემპიონი — ასე ხელდამშვენებული დაბრუნდნენ ჩვენი მოჭიდავენი შინ.

მეორე სურათი: წუთის წინ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარგზავნილის — გურამ საღარაძის მარჯვენა გამარჯვების ნიშნად ასწია არბიტრმა. და გურამი, მძიმე ბრძოლაგადახდილი, ხალიჩის კუთხესთან ჩამოჯდა.

ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა ხელბურთელთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, პოლიტექნიკური ინსტიტუტისამ კი — მეოთხე. მესამე სურათზე სწორედ ამ კოლექტივების შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი, სადაც ჯემალ ცერცვაძესა და თეიმურაზ ზარდალიშვილს ბურთის დაუფლებისათვის ბრძოლის მწვავე მომენტში ხედავთ.

მეოთხე სურათზე აღბეჭდილია თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში — უნივერსიტეტელი გზირიშვილი.

მეხუთე სურათი: ასპარეზობიდან თავისუფალი მოჭიდავეები — გულშემატკივართა როლში.

ვისზე შეტკივათ გული? ბერიაშვილზე, ზარიბეგ ბერიაშვილზე, რომელმაც ტალინის სარბიელზე ბრწყინვალე ჭიდაობით პირველობასთან ერთად საუკეთესო ტექნიკისათვის დაწესებული სპეციალური პრიზიც მოიხვეჭა. ბუნებრივია, ამ დაუდეგარ მოჭიდავეს გულგრილად ვერ უყურებ ხალიჩაზე.

მეექვსე სურათზე კვლავ უნივერსიტეტელი სტუდენტი ლიუდმილა იევლევაა აღბეჭდილი. ქალიშვილი ეს-ეს არის 606 სანტიმეტრზე გადახტა. არის თუ არა პირველი ადგილი? — არის!

ბოლო, მეშვიდე სურათი მოგვითხრობს სტუდენტ-მოჭიდავეთა შეჯიბრების დახურვის საზეიმო ცერემონიალზე. ეს საპატიო უფლება — (მარცხნიდან მარჯვნივ) კუჭუხიძეს, დათუსანსა და ხაბეიშვილს — საქართველოს წარგზავნილებს ხვდათ წილად.

ფოტო გ. შეყილაძისა და ტ. ყებრაუსკასისა.

# ჩემპიონატმა ვერ გაამართლა მოლოდინი

დამთავრდა საქართველოს წყალბურთელთა ჩემპიონატი, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ" და „ბურევესტნიკმა" ერთმანეთში ფრედ (2:2) ითამაშეს, ორივე კოლექტივს გზა გაეხსნა ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისკენ. გათამაშების დებულების თანახმად, თუ 2 გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებდა, გამარჯვებულის საკითხს წყვეტდა ბურთების ბალანსი

„დინამოს" უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდა და ჩემპიონობაც მას ხვდა წილად. მეორე ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკმა", მესამე — თბილისის „განთიადმა".

რა გვიჩვენა ჩემპიონატმა? ამაღლდა რესპუბლიკის გუნდების თამაშის კლასი? გამოჩნდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული წყალბურთელები? მაღალ დონეზე იყო მსაჯობა?

სამწუხაროდ, ამ საჭირბოროტო კითხვებზე გათამაშებამ უარყოფითად უპასუხა.

შეჯიბრების ორგანიზატორებს შეიძლება დაეთანხმო, რომ არც ერთი წინა გათამაშება ასეთი „ხალხმრავალი" არ ყოფილა, რაც რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის შემდგომ პოპულარიზაციაზე მეტყველებს. მაგრამ ერთია

### საქართველოს სსრ პირველობა წყალბურთში

მონაწილე გუნდების სიმრავლე, მეორე—მათი ოსტატობა. ოსტატობის მხრივ კი გათამაშებამ ოდნავადაც ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. გუნდებს კლასში ძალიან დიდი განსხვავება იყო, ხოლო ბოლო ოთხ ადგილზე გასული კოლექტივების თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ლიდერთა და აუტსაიდერთა შეჯიბრებისას, ამ უკანასკნელთა კარში თითქმის ყოველ 15 წამში გოლი გადიოდა. სხვა დროს მსგავსი ამბავი რომ არ გამეორდეს, ჩვენის აზრით, საჭირო იქნება რესპუბლიკის პირველობის 2 ჯგუფად ჩატარება. მაშინ კარგ ნაყოფს მივიღებთ და გათამაშებაც საინტერესო და მიმზიდველი გახდება.

ცნობილია, რომ წყალბურთის მატჩის მსაჯობა ძალიან რთული საქმეა. ამ შეჯიბრებაზე მსაჯები უმეტესად თავს ვერართმევდნენ თავიანთ მოვალეობას, ხშირად უშვებდნენ ელემენტარულ შეცდომებს, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებდა მატჩის მსვლელობაზე, მის შედეგზე. იყო შემთხვევა, როცა შეხვედრებს სჯიდნენ მონაწილე გუნდების მოთამაშეები და მწვრთნელები. ეს კი გაუთავებელ კამათსა და მოთამაშე მხარეების უკმაყოფილებას (ძალიან ხშირად სამართლიანს!) იწვევდა.

ჩვენი წყალბურთელთა რესპუბლიკური პირველობები მუდამ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა და მსგავსი ფაქტები არ შეიმჩნეოდა. იქნებ წყალბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ მოადუნა საქმიანობა? ჩვენ არავინ გვაპატიებს წყალბურთში მოპოვებული მაღალი პოზიციების დათმობას. ამისი საშიშროება კი უკვე გვესახება. ამას ადასტურებს წლევანდელი ჩემპიონატიც!

ჯ. ვაჩიბერიძე

# დღეს — მოსკოვში

1956 წლიდან მოკიდებული, მოსკოვში ყოველი წლის აგვისტოს ტრადიციულად ეწყობა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ეს შეჯიბრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევს და მრავალ საზღვარგარეთელ სპორტსმენს იზიდავს. ასეა ახლაც. მოსკოვის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში მასპინძლების გარდა, ჩაებმებიან ალჟირის, უნგრეთის, გდრ-ის, ინდოეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ახალი ზელანდიის, რუმინეთის, აშშ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ჩოგბურთელები. მათ შორის იქნებიან ახალზელანდიელი კ. მაკდონალდი, გალეას თასის წლევანდელი გათამაშების ფინალისტები ჩეხოსლოვაკიიდან შ. კოუდელკა და ი. კოდეში, იუგოსლაველი სპორტსმენები ნ. პილიჩი და ბ. იოვანოვიჩი. შეჯიბრებაში სულ მონაწილეობას მიიღებს 48 ვაჟი და 24 ქალი.

ვინ დაიცავს საბჭოთა კავშირის სპორტის ღირსებას? — ესენი არიან სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი თ. ლეიუსი, ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგბურთელი და გალეას თასის „ლაურეატი" ა. მეტრეველი, აგრეთვე მისი თანამებრძოლები გალეას თასისთვის ა. ივანოვი, ვ. კოროტკოვი და პ. ლამპი და სხვ. საბჭოთა ქალებს სათავეში ჩაუდგება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ა. დმიტრიევა.

ტურნირი იწყება დღეს. 16 აგვისტო შეჯიბრების ფინიშია.

# ჩემპიონთა სიაში — ახალი სახელები

**კიევი, 8 აგვისტო.** ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობის ჩემპიონთა სიაში ოლიმპიურ წელს ახალი სახელები გამოჩნდა, სსრ კავშირის XXII პირად-გუნდური პირველობის თითქმის ყველა შემდ ფინალურ გაცურვაში გაიმარჯვეს აქამდე „უტიტულო" სპორტსმენებმა. ასპარეზობა ტარდება დნეპრზე და აურაცხელ მაყურებელს იზიდავს. 500-მეტრიან დისტანციაზე ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ცნობილმა სპარტაკელებმა — ა. სერედინამ და ნ. გრუზინცევამ (2.00,1), ჩემპიონებს 0,2 წამით ჩამორჩნენ მათი თანაკლუბელები ლ. სინიჩკინა და ზ. სვეტოჩევა. დანარჩენ სახეობებში ჩემპიონები გახდნენ: ვაჟებში — 1.000 მეტრზე — ბაიდარით — ვ. მოროზოვი (კრასნოვოდსკი) — 4.08,7, კანოეთი — ე. პენიაევი (მოსკოვი) — 4.39,2, ორმოსასმელიანი ბაიდარით — ნ. ჩუჟიკოვი (ლისიჩანსკი) და ა. გრიშინი (მოსკოვი) — 3.41,5, კანოეთი — ა. ხიმიჩი (ჩერკასი) და ს. ოშჩეპკოვი (ვლადივოსტოკი) — 4.11,5, ოთხმოსასმელიანი ბაიდარით — ა. გრიშინი, ვ. იონოვი (მოსკოვი), ვ. მოროზოვი, ნ. ჩუჟიკოვი — 3.18,0. ქალთა შორის 500 მეტრზე ბაიდარებით ასპარეზობაში საუკეთესო იყო ლ. ხვედოსიუკი (ლენინგრადი) — 2.15,8.

# ბერძენი ფეხბურთელები — ჩვენი სტუმრები





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემოთ — ერთ-ერთი მომენტი განვლილი მატჩიდან თბილისის „ლოკომოტივსა" და საბერძნეთის „პანიონიოსის" შორის. სახიფათო მომენტი სტუმრების კართან. ქვემოთ — ბერძენი ფეხბურთელები — სარავანოსი (მარცხნივ) და დუნიასი.

მეგობრული შარჟები გ. ფირცხალავასი.

## 4:0, 4:1, 3:2

თბილისის „შრომითი რეზერვების" სტადიონზე დამთავრდა პროფტექნიკური სასწავლებლების IX საკავშირო სპარტაკიადის ზონალური ტურნირი ფეხბურთში. შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებმაც თანმიმდევრობით დაამარცხეს: თურქმენეთის (4:0), აზერბაიჯანის (4:1), სომხეთის (3:2) გუნდები და დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი.

ბურთების უკეთესი სხვაობით სომხეთის კოლექტივმა უკან ჩამოიტოვა აზერბაიჯანელები და გამოვიდა II ადგილზე.

ტურნირის დებულების თანახმად I-II ადგილებზე გამოსული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ პროფტექნიკური სასწავლებლების IX საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ თამაშებში.

# [illegible]

### შმაგი გულშემატკივრებისთვის

ფეხბურთის გულშემატკივართა დიდ საერთაშორისო არმიაში არის ერთი ნაწილი, რომელიც განსაკუთრებული, ზედმეტი ემოციით აღიქვამს თავისი გუნდის მარცხს თუ წარმატებას.

სწორედ ასეთი მაყურებლებისთვის გამოიგონეს ბულონში (საფრანგეთი) ერთგვარი დასაწყნარებელი საშუალება: ტრიბუნებზე შესასვლელებთან ჰკიდია ქვიშით დატენილი ტომრები წარწერით — „თუ ვინმე უკმაყოფილო ხართ თამაშით ან მსაჯობით, თავისუფლად შეგიძლიათ ჯავრი იყაროთ ამ ტომარაზე".

ამბობენ, როცა ბულონში საფეხბურთო მატჩები მიმდინარეობს, ხშირად ნახავთ ტომრებთან მიმდგარ გააფთრებულ გულშემატკივრებს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ტომარა პირწავარდნილად ჰგავს სწორედ იმ მსაჯს, რომლის წყალობითაც აგებს ადგილობრივი გუნდი მინდორზე.

### წყალქვეშა რეკორდი

ამერიკელმა მაკ ტომსონმა დაამყარა მსოფლიო „რეკორდი" წყალქვეშ ხანგრძლივად ყოფნაში — 72 საათი, 5 წუთი, 25 წამი. იგი ზემოთ ამოდიოდა მხოლოდ ჟანგბადის მარაგის შესავსებად. ტომპსონმა წყალქვეშ იძინა დაახლოებით 15 საათი. საამისოდ იგი ლითონის საწონებს იკეთებდა ფეხებზე, რომ არ ამოტივტივებულიყო.

## აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით...

▲ ტ ო კ ი ო. იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა XVIII თამაშებზე საპატიო სტუმრებად მიიწვია ის ამერიკელი კინოვარსკვლავები, რომლებიც წარსულში გამოჩენილი სპორტსმენები იყვნენ. ესენი არიან: სტივ მეკ-კვინი, ბობ ჰოუპი, დენი კეი და ჯონ ვაისმიულერი.

▲ მ ი უ ნ ჰ ე ნ ი. ევროპის ჩემპიონმა ქვემძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის, ბუბი შოლცმა ამას წინათ გამართა პირველი ვოკალური კონცერტი საესტრადო ორკესტრის თანხლებით. უმოკლეს ხანში გამოვა ფირფიტები მისი სიმღერებით.

▲ **ნიუ-იორკი.** მსოფლიო ექს-ჩემპიონს მძიმე წონაში ფლოიდ პატერსონს სურს დაიბრუნოს დაკარგული ტიტული. ამ მიზნით იგი ატარებს მთელ რიგ საკვალიფიკაციო შეხვედრებს. აგვისტოს მეორე ნახევარში „მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე იგი შეხვდება ტონი ალონგის.

▲ **მილანი.** იტალიის ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელიან ფერუჩიო მაცოლას (სანდრინო მაცოლას ღვიძლი ძმის) დებიუტს. იგი მომავალ სეზონში „ინტერნაციონალეში" ითამაშებს.

▲ რ ო მ ი. ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა მარიო კორსომ დაწერა წიგნი თავის საფეხბურთო მოღვაწეობაზე. წიგნი იტალიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

▲ ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი. ჰამრინმა და სკოგლუნდმა თავიანთი იტალიური კლუბებისგან მიიღეს ნებართვა—ითამაშონ შვეციის ეროვნული ნაკრები გუნდის მატჩებში.

▲ **ბუენოს-აირესი.** არგენტინის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი რაულ კოლომბო ოპტიმისტურად არის განწყობილი. იგი დარწმუნებულია, რომ 1970 წლის მსოფლიო პირველობა მის ქალაქში ჩატარდება.

▲ **პარიზი.** ოლიმპიურ ტურნირში საფრანგეთი 4 მოკრივით იქნება წარმოდგენილი (კოტოა, გონზალესი, მარტი და ტებოლტი).

▲ **მონტევიდეო.** გაიმართა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მეორე ნახევარფინალური მატჩი „ნასიონალსა" (ურუგვაი) და „კოლო-კოლოს" (ჩილი) შორის. გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 4:2. ფინალში „ნასიონალი" შეხვდება „ინდეპენდიენტეს" (არგენტინა).

▲ ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი. ცნობილმა შვედმა მოთხილამურემ, ბოლო სამი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და პრიზიორმა სიკსტენ ერნბერგმა საბოლოოდ გადაწყვიტა აღარ გამოვიდეს შეჯიბრებებში. ამის მიზეზად მან გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის" კორესპონდენტს თავისი ასაკი და საწვრთნელი ვარჯიშისთვის დროის უქონლობა დაუსახელა.

## ორი სკანდალი

ჯერ არ დამცხრალიყო იტალიელ გულშემატკივართა მღელვარება ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონისა და „ბოლონიის" ფეხბურთელთა ე. წ. „დოპინგის სკანდალის" გამო, რომ გამოაშკარავდა კიდევ რამდენიმე სკანდალური ისტორია.

პირველი დაკავშირებულია გენუას კლუბ „სამპდორიასთან". მისი ერთ-ერთი ფეხბურთელი ამხილეს „მოდენის" მოთამაშეთა მოსყიდვის ცდაში. „სამპდორიას" I ლიგის დატოვება ემუქრებოდა, ამიტომ მან განიზრახა „მოდენის" რამდენიმე მოთამაშის მოსყიდვა, რათა მათ ცუდად ეთამაშათ და წაეგოთ.

მეორე შემთხვევა დაკავშირებულია არგენტინელ მწვრთნელ ხ. ლორენცისთან, რომელიც წელს სათავეში ედგა რომის „ლაციოს". მძაფრი კონკურენციის მიუხედავად. „ლაციო" I ლიგაში საპატიო მე-9 ადგილზე გამოვიდა, ამიტომ მწვრთნელმა თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და „რომას" ხელმძღვანელობას დაეთანხმდა ამ კლუბში გადასულიყო. ეს „ლაციოს" გულშემატკივრებმა ღალატად ჩათვალეს, გადავიდნენ პირდაპირ სტადიონზე და ლორენცი კარგად მიბეგვეს. პოლიციელებმა ძლივს იხსნეს მწვრთნელი გააფთრებული ბრბოსგან, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში ბობოქრობდა რომის ქუჩებში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11287